სსიპ ახმეტის მუნიციპალიტეტის
სოფელ ყვარელწყლის
საჯარო სკოლა

LEPL VILLAGE KVARELTSKALI PUBLIC
SCHOOL OF AKHMETA
MUNICIPALITY

საიდ. კოდი: 224628115

E-mail: kvareltskali@mes.gov.ge

09/12/2024

MES 6 24 0001584269

სსიპ -საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს
თავმჯდომარეს
ქალბატონ ნათია ჩირიკაშვილს

ქალბატონო ნათია,

წარმოგიდგენთ სსიპ ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ყვარელწყალის საჯარო სკოლის 2024 წლის ანგარიშს საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 49-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში მოცემული ,,ინფორმაციის თავისუფლების'' თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების თაობაზე:

სსიპ ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ყვარელწყალის საჯარო სკოლის 2024 წლის 6 დეკემბრის № 2-63 ბრძანებით საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე და პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირად განისაზღვრა სსიპ ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ყვარელწყალის საჯარო სკოლის საქმისმწარმოებელი თამარი გამრეკელაშვილი.

ა) 2024 წლის საანგარიშო პერიოდში, სკოლაში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის თაობაზე წარმოდგენილ იქნა 1(ერთი) განცხადება, საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის თაობაზე სკოლაში მოთხოვნა არ შემოსულა. სკოლის მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თაობაზე გადაწყვეტილება არ ყოფილა მიღებული.

ბ) დაკმაყოფილდა 1(ერთი) მოთხოვნა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე და არ ყოფილა მიღებული არცერთი გადაწყვეტილება მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

გ) საჯარო მონაცემთა ბაზების თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა, საჯარო დაწესებულების მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვების, დამუშავების, შენახვის თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა, პერსონალური მონაცემების სხვისთვის გადაცემის თაობაზე მოთხოვნა არ შემოსულა.

დ) 2024 წლის საანგარიშო პერიოდში, სკოლაში დასაქმებულთა მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი მოთხოვნები არ დარღვეულა და პასუხისმგებელ პირებზე შესაბამისი დისციპლინური სახდელი არ დადებულა.

ე) სკოლას საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი არ უთქვამს, შესაბამისად არ გამოუყენებია მოქმედი საკანონმდებლო აქტები.

3) საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით სკოლის წინააღმდეგ სარჩელი სასამართლოში შეტანილ არ ყოფილა და გამომდინარე აქედან, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები სკოლას არ ჰქონია.

კახეთის საგანმანათლებლო რესურსცენტრი / ქალაქ ახმეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრი / საჯარო სკოლები / ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ყვარელწყლის საჯარო სკოლა
დირექტორი
ღუბიანური რუსუდან

რ. ღუბიანური